საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/240 "24" ივლისი 2017 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„საერთო სასამართლოების (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) სისტემაში სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 15 ივლისის №1/118 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

1. „საერთო სასამართლოების (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) სისტემაში სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 15 ივლისის №1/118 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საერთო სასამართლოებისათვის სარეზერვო ფონდიდან საჭირო ოდენობის საწვავის ყოველთვიურ ლიმიტს ზემოთ გამოყოფა ხორციელდება შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის ან სასამართლოს მენეჯერის მოტივირებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი